საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 16.2 მუხლის მოქმედების შეჩერების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. შეჩერებულ იქნეს „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 30 ივნისის კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები“. 1994-1995 წწ., №27-30, მუხ. 654) 16.2 მუხლის მოქმედება ინვესტიციების შესახებ ახალი კანონის მიღებამდე.

2. საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს უცხოური ინვესტიციების სააგენტომ ამ დადგენილების ძალაში შესვლისთანავე შეწყვიტოს უცხოური ინვესტიციების თაობაზე განცხადებების მიღება.

ედვარდ სურმანიძე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

თბილისი,

1996 წლის 12 ნოემბერი